საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები

1.1. საქართველოში გასაგზავნი სახმელეთო ამანათი არის ამანათის სახეობა, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტები საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ავსტრიაში, ჩეხეთში, ბელგიაში, სლოვაკეთში, ნიდერლანდებსა და ინგლისში იღებენ საკუთარი ოფისების (შემდგომში ერთად მოხსენიებული „აგენტები“ ან „აგენტი“) და გზავნილების გაცემის პუნქტების საშუალებით, უზრუნველყოფენ მათ ტრანსპორტირებას საქართველოში და გადასცემენ „საქართველოს ფოსტას“ ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით.

1.2. სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება გამოითვლება ფაქტიური წონისა და „აგენტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1კგ.-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 1კგ-მდე წონის სახმელეთო ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი იხდის ფიქსირებულ - 1კგ.-სთვის დადგენილ ტარიფს.

1.3. სახმელეთო ამანათის მიღება „აგენტების“ მიერ ხორციელდება **ყოველ სამუშაო დღეს.**

1.4. სახმელეთო ამანათების საქართველოს მიმართულებით გაგზავნა, საბერძნეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, პოლონეთიდან, ავსტრიიდან, ჩეხეთიდან, ბელგიიდან, სლოვაკეთიდან და ნიდერლანდებიდან, ხორციელდება **ორშაბათ დღეს.**

1.5. სახმელეთო ამანათების საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ინგლისიდან ხორციელდება **კვირა დღეს.**

1.6. ადრესატისათვის ჩაუბარებელი სახმელეთო ამანათის უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება.

1.7. სახმელეთო ამანათის დაზღვევა არ ხდება.

1.8. გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება შემდეგი საგნების გაგზავნა:

- მსხვრევადი ნივთები (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა);

1.9. სახმელეთო ამანათის შეფუთვაზე გარედან დაიტანება შემდეგი მონაცემები:

- სახმელეთო ამანათის საიდენტიფიკაციო კოდი (შტრიხ კოდი);
- სახმელეთო ამანათის გამგზავნის ვინაობა; ქვეყანა და ქალაქი სადაც ცხოვრობს გამგზავნი; აგრეთვე მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სახმელეთო ამანათის ადრესატის ვინაობა; მისი ზუსტი მისამართი (მოკითხვამდე პირობით გაგზავნის შემთხვევაში, მისამართის მაგივრად მიეთითება „საქართველოს ფოსტის სერვისცენტრის ნომერი და მისამართი); აგრეთვე ადრესატის მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- სახმელეთო ამანათის წონა;

1.10. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.

1.11. სახმელეთო ამანათის გამგზავნს და ადრესატს უფლება აქვთ ისარგებლონ შემდეგი დამატებითი სერვისებით:

- ამანათის ადრესატის მისამართზე ჩაბარება;
- საფოსტო მომსახურების შესახებ ინფორმაციის (ცნობის) გაცემა;
- ამანათის გადამისამართება;